ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3177771

ნომერი: AR1488129

თარიღი : 20.03.2017

გაცემის თარიღი : 04.04.2017

გაცნობის თარიღი : 04.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფალიაშვილი , N 87 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელისაბედ მარცვალაძე პ/ნ 01008033867
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N 87ბ

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1488129 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით #AR1422807 ელექტრონული განაცხადით მოთხოვნილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას და ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.
პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 22 ივნისს #AR1422807 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა

მოქალაქე გიორგი გიორგაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქუჩ #87-ში, კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, რომლის საფუძველზეც 2017 წლის 28 მარტის # 3173884 ბრძანებით შეთანხმდა ზემოაღნიშნულ მისამართზე, შპს დომუს-ვაკის პარკის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.14.11.022.004), მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა . მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 28 მარტიდან 2019 წლის 28 ივლისის ჩათვლით.

დამკვეთს დაევალა, წინამდებარე ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში საპროექტო მიწის ნაკვეთზე გამავალი ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეების მიერ გაცემული თანხმობის წარმოდგენა, დამოწმებული კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში წინამდებარე ბრძანება ჩაითვლება ძალადაკარგულად მისი ძალაში შესვლის დღიდან.

ამასთან გაცნობებთ, რომ ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.